საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხოვრების დონის მაჩვენებლები
(შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები)
2019

25.05.2020

www.geostat.ge

25.05.2020

ცხოვრების დონის მაჩვენებლები
(შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები)
2019 წელი

შემოსავლები

2019 წელს საქართველოს მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების (ფულადი და არაფულადი სახსრების) მოცულობამ 1 251.3 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 5.4 პროცენტით აღემატება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსახლეობის საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი სახსრები 2010-2019 წლებში.

დიაგრამა №1

მოსახლეობის საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი სახსრები



2019 წლის მონაცემებით, საშუალო თვიური შემოსავლების მოცულობა ერთ შინამეურნეობაზე 1 175.3 ლარს, ხოლო ერთ სულზე 336.1 ლარს შეადგენდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი სახსრების მოცულობა ერთ შინამეურნეობაზე და ერთ სულზე 2010-2019 წლებში.

დიაგრამა №2

საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი სახსრების მოცულობა ერთ შინამეურნეობაზე და ერთ სულზე



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, შინამეურნეობების შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები, რომლის წილიც 2019 წელს, გასულ წელთან შედარებით, 1.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 84.5 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსახლეობის საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი სახსრების განაწილება ძირითადი წყაროების მიხედვით, 2010-2019 წლებში.

დიაგრამა №3

საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი სახსრების განაწილება ძირითადი წყაროების მიხედვით



შინამეურნეობების მთლიანი შემოსავლების მოცულობა გაცილებით მაღალი იყო ქალაქის ტიპის დასახლებებში და 781.1 მილიონ ლარს შეადგენდა. აღნიშნული მაჩვენებელი 470.2 მილიონი ლარის ფარგლებში იყო სოფლის ტიპის დასახლებებში.

2019 წელს ფულადი შემოსავლებისა და ტრანსფერტების სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს დაქირავებული შრომიდან მიღებულ შემოსავლებს (48.7 პროცენტი). გარდა ამისა, სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილით არის წარმოდგენილი პენსიები, სტიპენდიები და დახმარებები (19.0 პროცენტი), შემოსავლები თვითდასაქმებიდან (11.4 პროცენტი) და საჩუქრად მიღებული ფული (8.8 პროცენტი).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსახლეობის ფულადი შემოსავლების და ტრანსფერტების პროცენტული განაწილება 2019 წელს.

დიაგრამა №4

ფულადი შემოსავლების და ტრანსფერტების პროცენტული განაწილება 2019 წელს



ხარჯები

2019 წელს საქართველოს მოსახლეობის საშუალო თვიურმა ხარჯებმა 1 220.1 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 4.8 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსახლეობის საშუალო თვიური ხარჯები 2010-2019 წლებში.

დიაგრამა №5

მოსახლეობის საშუალო თვიური ხარჯები



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, საშუალო თვიური ხარჯების მოცულობა ერთ შინამეურნეობაზე 1 146.1 ლარს, ხოლო ერთ სულზე 327.7 ლარს უტოლდება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საშუალო თვიური ხარჯები ერთ შინამეურნეობაზე და ერთ სულზე 2010-2019 წლებში.

დიაგრამა №6

საშუალო თვიური ხარჯები ერთ შინამეურნეობაზე და ერთ სულზე



2019 წელს, წინა წელთან შედარებით შინამეურნეობის სამომხმარებლო ფულადი ხარჯების წილი მთლიან ხარჯებში 1.3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 68.2 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსახლეობის საშუალო თვიური ხარჯების განაწილება ძირითადი კატეგორიების მიხედვით, 2010-2019 წლებში.

დიაგრამა №7

საშუალო თვიური ხარჯების განაწილება ძირითადი კატეგორიების მიხედვით



შემოსავლების მსგავსად, ხარჯების მოცულობა გაცილებით მაღალი იყო ქალაქის ტიპის დასახლებებში და 764.4 მილიონ ლარს შეადგენდა, ხოლო აღნიშნული მაჩვენებელი სოფლის ტიპის დასახლებებში 455.7 მილიონი ლარი იყო.

2019 წლის მონაცემებით, სამომხმარებლო ფულადი ხარჯების სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი (37.8 პროცენტი) უჭირავს სურსათზე, სასმელზე და თამბაქოზე გაწეულ ხარჯებს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სამომხმარებლო ფულადი ხარჯების პროცენტული განაწილება 2019 წელს.

დიაგრამა №8

სამომხმარებლო ფულადი ხარჯების პროცენტული განაწილება 2019 წელს



საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelasvili@geostat.ge